მუზეუმების საერთაშორისო დღე

კალენდარი

18 მაისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სისტემაში შემავალი მუზეუმები

სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე - კულტურის ისტორიის მუზეუმი
18 მაისი

ხელოვნების სასახლე GOOGLE - ის კულტურულ ინსტიტუტთან ერთად, ამავე ინსტიტუტის ვებ - პლატფორმაზე წარმოადგენს გამოფენას „ერთი შედევრის ისტორია". გამოფენა ეძღვნება 2018 წელს ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით შეძენილი თეიმურაზ მეორის უნიკალური პორტრეტის თავგადასავალს.

http://mes.gov.ge/s/od269

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფესტივალი ციფრულ ფორმატში ჩატარდება. წლევანდელი ფესტივალი სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის (როგორც სამუზეუმო გაერთიანების) ჩამოყალიბების 15 წლის იუბილეს ეძღვნება.

18-24 მაისს, მუზეუმი ვირტუალურ მეგობრებს სოციალური ქსელების საშუალებით შესთავაზებს ახალ გამოფენებს, სპეციალურად ბავშვებისთვის მომზადებულ ონლაინ გასაფერადებლებს, ქვიზებსა და ფაზლებს; ონლაინ გაკვეთილების სერიას. ასევე, პროექტს, რომელიც მე-19 საუკუნის ერევანსკის - დღევანდელი თავისუფლების მოედნის ციფრულ პანორამას გაგაცნობთ. ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს წარმოდგენილი იქნება ინტერაქტიული პროგრამები. ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება დოკუმენტური მასალა ეროვნული გალერეის შესახებ. საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციასთან ერთად, წარმოდგენილი იქნება ახალი რუბრიკა „ეროვნული მუზეუმი და ტრადიციული რეწვის ოსტატები“.

18 მაისი

მუზეუმის ონლაინ გაკვეთილები - პროგრამა დისტანციური სწავლების მხარდასაჭერად.
18 მაისიდან, ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი მოსწავლეებს, პედაგოგებსა და სტუდენტებს სთავაზობს ონლაინ გაკვეთილებს მუზეუმის გამოფენების მიხედვით.

19 მაისი

ვლადიმერ (ვალო) იმერლიშვილის ინსტალაციის - „დიდი რყევა“ ვიდეოჩვენება და ლექცია. პროექტის „თანამედროვე ხელოვნების გალერეა" ფარგლებში ვალო იმერლიშვილმა შექმნა ფუნქციონალური სკულპტურა როგორც ინსტალაცია - ხის ორი ცხენით წარმოდგენილი სამმეტრიანი არტეფაქტი დასავლეთისა და აღმოსავლეთის არსებითი მახასიათებლების მხატვრულ კვლევას ეძღვნება.

20 მაისი

„გენერალ ზურაბ კობიაშვილის უცნობი კოლექცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“. გამოფენას დამთვალიერებელი ვიდეოს სახით იხილავს. გამოფენის კურატორი მამუკა ქაფიანიძე და ილუსტრატორი გიორგი ჯინჭარაძე დაინტერესებულ საზოგადოებას გააცნობენ საბრძოლო იარაღებს, მემორიალურ ნივთებს, ფერწერულ ნიმუშებს, აღმოსავლურ ღვთაებათა ქანდაკებებსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს გენერლის კოლექციიდან.

21 მაისი

ეროვნული გალერეის 100 წელი - გაეცნობით უცნობ ფაქტებს დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის შესახებ. იხილავთ საარქივო ვიდეომასალას გალერეის დაარსების თაობზე, არქიტექტურული შენობასა და თვითონ კოლექციაზე.

22 მაისი

ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე - მუზეუმში დაცულ ჰერბარიუმსა და ცხოველთა სამყაროს ციფრულ, ინტერაქტიული ფორმატით გაეცნობით. მუზეუმი შემოგთავაზებთ თემატურ გასაფერადებლებს, ფაზლებსა და ქვიზს, რომელიც National Geographic საქართველოსთან ერთად მომზადდა.

23 მაისი

„მე-19 საუკუნის ერევანსკის მოედნის (დღევანდელი თავისუფლების მოედნის) ციფრული პანორამისა და 3D-ში მოდელირებული ისტორიული ნაგებობები“ - პროექტის პრეზენტაცია.

24 მაისი

„ეროვნული მუზეუმი და ხალხური რეწვის ოსტატები„ - პროექტის პრეზენტაცია. საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, წარმოდგენილი იქნება ახალი რუბრიკა, რომელსაც მუზეუმის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და ხალხური რეწვის ოსტატები ერთობლივად ამზადებენ. პროექტი ციფრულ ფორმატში დაიწყება და სამომავლოდ რეალურ სივრცეში გადაინაცვლებს. მისი მიზანია ტრადიციისა და თანამედროვეობის ჩვენება.

- facebook.com/GNMuseum
- instagram.com/georgiannationalmuseum
- youtube.com/NationalMuseumGe

სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

18 მაისი

- მუზეუმის Facebook გვერდზე გაზიარდება ვიქტორინა;
- ქართველ მწერალ და მოღვაწე ქალთა საიუბილეო თარიღებთან (ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი - 170, თამარ ჭავჭავაძე-გრუზინსკაია - 170, ელენე ყიფიანი - 165, ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე - 165, მარიამ დემურია - 160, ელისაბედ ორბელიანი - 150, დესპინე გელოვანი - 140, მარიჯანი (მარიამ ალექსიძე) - 130, მარიკა მიქელაძე - 110, კლავდია დევდარიანი - 110) დაკავშირებული საგამოფენო პოსტერების ონლაინ-პრეზენტაცია და ონლაინ-ვიქტორინა.

http://mes.gov.ge/s/Dv36m

სსიპ დაბიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე დამთვალიერებელი იხილავს ჩართვას ,,გიგის სახელოსნოდან". სტუმარი აუტისტური სპექტრის აღსაზრდელია, რომელიც სახლში მოწყობილ სახელოსნოში ქმნის საინტერესო ნამუშევრებს.

http://mes.gov.ge/s/S9vJc

სსიპ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება ვიდეორგოლი პროექტის ,,„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების განვითარების ხელშეწყობა პანდემიის პირობებში" შესახებ, რომელსაც ახორციელებს ასოციაცია ,,ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისათვის''. პროექტში გამოყენებულია მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციები. სათამაშო ბარათებზე სხვადასხვა ზომითა და ფორმით დატანილია მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც მარტივი აღსაქმელია ბავშვებისთვის. მათ უნდა აღმოაჩინონ და იპოვონ სხვადასხვა ბარათზე ერთი და იგივე ექსპონატი და დაასახელონ იგი. ბარათებს მოყვება ექსპონატების ჩამონათვალი აღწერილობით და იმ მუზეუმის მითითებით, სადაც დაცულია ეს ექსპონატი.

www.facebook.com/kutaisimuseum

სსიპ დავით ბაააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მუზეუმი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

18-24 მაისი

- სპეციალურად მომზადებული ბანერი „მუზეუმი - მშვიდობის სივრცე";
  ვიდეოფილმი - „დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის" საზეიმო გახსნა;
- ვიდეორგოლი - გივი ღამბაშიძის წიგნის „საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის ფურცლები" თაობაზე;
- ფოტოგამოფენა - საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის, ქართულ-ებრაული და საქართველო-პალესტინის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მე-3 საერთაშორისო კონფერენცია – „თბილისი-იერუსალიმი-3";
- ფოტოკოლაჟი - „დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით მუზეუმში ჩატარებული ღონისძიებები;
- მუზეუმში გამართული უსინათლო მუსიკოსთა ჯგუფის „რელიქვია" კონცერტის ჩანაწერი;
- ფოტოგამოფენა - მუზეუმში გამართული ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი;
- ფოტოგამოფენა - ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუზეუმის, საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, „საქართველოს ებრაელთა კავშირის", მუსლიმთა კავშირის ორგანიზებით
- გამართული საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიების შეხვედრა;
- ინტერაქციული ვიქტორინა ქართულ-ებრაულ 26 საუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაზე.

→ www.facebook.com/jewishgeo

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

18 მაისი

გრემის მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება მოკლემეტრაჟიანი ვიდეო კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქის - გრემის ისტორიის (1466-1616) შესახებ. ონლაინვიზიტორებს საშუალება ექნებათ ვირტუალურად გაეცნონ გრემის მუზეუმის კოლექციებსა და სამუზეუმო ექსპოზიციებს.

https://bit.ly/3dyiuSk

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის Facebook გვერდზე გაიმართება ვიდეოპრეზენტაცია - „გურიის მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“.

https://bit.ly/2YRX7HE

დიმიტრი ნაზარიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ–არქიტექტურული მუზეუმ–ნაკრძალის Facebook გვერდზე განთავსდება - „უწყვეტი ტრადიცია – ჩვენ შენი მეგობარი ვართ!“ მუზეუმის შექმნისა და იქ წარმოდგენილი ექსპოზიციის ისტორიის ვიდეოვერსია.

www.facebook.com/kutaisi.muzeumnakrdzali

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის Facebook გვერდზე განთავსდება დოკუმენტური ფილმი „უფლისციხე“, რომელიც ონლაინვიზიტორებს უფლისციხის ისტორიას იქ აღმოჩენილი არტეფაქტებით მოუთხრობს.

www.facebook.com/UplistsikhemMuseum

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის Facebook გვერდზე განთავსდება - ექსპონატებით გაცოცხლებული ბორჯომის მინერალური წყლებისა და მხარის ისტორიის ვიდეოვერსია.

www.facebook.com/sdzgfv

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის Facebook გვერდზე დამთვალიერებელი იხილავს დოკუმენტურ ფილმს ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

https://bit.ly/35LoJjf

აღნიშნული მასალები ასევე წარმოდგენილი იქნება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს Facebook გვერდზეც:

www.facebook.com/georgianheritage

სსიპ ივანე მაჩაბლის მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

- გამოფენა ციფრულ ფორმატში - ივანე მაჩაბლის მუზეუმის ექსპონატები;
- ვიდეო კოლაჟი ,,მუზეუმის მეგობრები“. სოფელ წეროვანის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები წაიკითხავენ ამონარიდებს ივანე მაჩაბლის შესახებ პუბლიკაციებიდან);
- სასულიერო აკადემიის ლექტორის ზურაბ ეკალაძის ონლაინ ლექცია ,,მუზეუმების როლი თანამედროვე საზოგადოებაში”.

19 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე განთავსდება ამონარიდები იაკობ მანსვეტაშვილის წიგნიდან ,,ნახული და გაგონილი“, რომელიც ეძღვნება ცნობილი საზოგადო მოღვაწეების - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილისა და მარჯორი და ოლივერ უორდროპების ცხოვრების ეპიზოდებს.

www.facebook.com/IVANE.MACHABELI.HOUSE.MUSEUM

სსიპ მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება ონლაინ ვიქტორინა და პრეზენტაცია; ვიდეო მიმართვები ბავშვების მონაწილეობით - „ჩვენ გვიყვარს მუზეუმი“;

→ www.facebook.com/narimanov.evmuzeyitbilisi

→ www.facebook.com/AxundovMuzey

სსიპ ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

- ახალგაზრდა ფოტოხელოვან ქეთევან ლომოურის სხვადასხვა დროს მუზეუმის სივრცეებში გადაღებული მასალის ფოტოკოლაჟი;
- მუზეუმის მეგობრების მიერ ჩაწერილი ვიდეოები, რომელშიც მონაწილეობას ასევე მიიღებენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და გრემის თემის აღსაზრდელები;
- ონლაინ პრეზენტაციები მუზეუმის ექსპონატების შესახებ;
- ვიდეო ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვასთან დაკავშირებით (ჭავჭავაძეების საგვარეულო ეკლესიის იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბენიამენ ჩიხორლიშვილი);

→ www.facebook.com/muzeumi.m

სსიპ ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება ფოტომასალა, რომელშიც ასახულია განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობა მუზეუმის სხვადასხვა აქტივობაში (ლექცია-სემინარი, გამოფენა-გაყიდვა, ფლეშ-მობი და სხვა).

www.facebook.com/stalinismuseumi

სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი

18 მაისი

- ვიდეო მიმართვა, ასოციაცია ,,ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისათვის“ დამფუძნებლის ინა სოხაძის საუბარი თელავის ისტორიულ მუზეუმში განხორციელებული ორი ინკლუზიური პროგრამის - ,,იმოგზაურე წარსულში“ და ,,აღმოაჩინე წელიწადის ოთხი დრო“ შესახებ. ასევე, პროექტის თაობაზე, რომელიც კორონავირუსის პანდემიის პერიოდში შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. კერძოდ, სამაგიდო თამაშები, სადაც რამდენიმე მუზეუმის და მათ შორის, თელავის მუზეუმის ორი ექსპონატი - ერეკლე II-ის ,,ხმალი“ და ელენე ახვლედიანის ტილო ,,ფიქრის გორა“ იქნა გამოყენებული. სამაგიდო თამაშები მუზეუმის ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე ბენეფიციარებს გადაეცემათ მუზეუმის კვირეულის ფარგლებში;

- ფოტოკოლაჟი ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროგრამებში - ,,იმოგზაურე წარსულში“ და ,,აღმოაჩინე წელიწადის ოთხი დრო“ - მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ.

19 მაისი

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ვიდეო-მოხსენებები მსოფლიოს პრესტიჟულ მუზეუმებში ინკლუზიური პროგრამების თაობაზე. ფოტოკოლაჟი ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროგრამებში - ,,იმოგზაურე წარსულში“ და ,,აღმოაჩინე წელიწადის ოთხი დრო“ - მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ.

20 მაისი

- საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი ნინო პაატაშვილი, შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი - ლადო ჭინჭარაული, ააიპ „ლამპარის“ წარმომადგენელი ნინო მაისურაძე და თვითნასწავლი მხატვარი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი - რეზო მექვაბიშვილი ვიდეომიმართვაში ისაუბრებენ ინკლუზიური პროგრამების მნიშვნელობაზე, მუზეუმის რესურსის გამოყენებაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მეტი აქტივობისა და შემეცნებისთვის.

21 მაისი

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ნინო ობოლაძის ნახატების ვირტუალური გამოფენა ,,ხატვამ შეაძლებინა“.

22 მაისი

- თელავის საჯარო სკოლის პედაგოგები ისაუბრებენ მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლეების ჩართულობის მნიშვნელობაზე;

- ვიდეორგოლი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ისაუბრებენ მუზეუმის მნიშვნელობასა და სამოქალაქო თანასწორობაზე;

24 მაისი

- ონლაინ ექსკურსია მუზეუმის ძირითად საგამოფენო სივრცეში, სადაც გამოფენილია კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და შუა საუკუნეების ეთნოგრაფია.

www.facebook.com/pg/telavisistoriulimuzeumi.ge

სსიპ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

24 მაისი

თანამედროვე ხელოვანის ლადო დარახველიძის ონლაინ ჩართვა - „ხელოვანი მუზეუმში", რომელიც აბრეშუმის მუზეუმთან თანამშრომლობით, წარადგენს კვლევით პროექტს „კავკასიური ისტორიის გაკვეთილები"; მოკლე ვიდეოტუტორიალები, რომლებიც შეეხება თემას „სივრცე და სიმბოლო". ამ თემის ირგვლივ ხელოვანი დაინტერესებულ საზოგადოებას, კერძოდ, ბავშვებსა და მოზარდებს დღევანდელი იზოლაციის პირობებში აქტუალურ საკითხს - სწავლებისა და თვითშემეცნების პროცესს ტოპოლოგიურ მეთოდოლოგიასთან კავშირით წარადგენს;

კურატორების ვიდეო ლექცია: ტექსტილი და პოლიტიკა - საერთაშორისო დისტანციური თანამშრომლობა მუზეუმსა და University of the Underground-ს შორის. მუზეუმის საგამოფენო პროექტების კურატორი მარიამ შერგელაშვილი და მუზეუმის საერთაშორისო პროგრამების კურატორი დათა ჭიღოლაშვილი სამუზეუმო პროექტებზე ისაუბრებენ University of the Underground-ის მონაწილეებისთვის. სამუზეუმო კვირეულის ფარგლებში, ვიდეო ლექციის ჩანაწერი დაინტერესებული საზოგადოებისთვის გათავსდება მუზეუმის Facebook გვერდზე;

რეტროსპექტული კალენდარი მუზეუმის არქივიდან - ონლაინ რეჟიმში განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაცნობა. სამუზეუმო კვირეულის ფარგლებში, მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება პოსტერები:

- „ნარჩენები 2 : გადარჩენილი სხეულები “(კურატორი - დათა ქიღოლაშვილი);
- „ეფემერული ღამე” (პეპლების კოლექცია და ნინო ზირაქაშვილის ხელოვანის წიგნი);
- „უწყვეტი ძაფი” - ქსოვილი, როგორც ტაქტილური და ინფორმაციული მედიუმი;
- ინტერაქციული სახალისო აქტივობები ონლაინ რეჟიმში განხორციელდება;
  მათ შორის #ემეგობრემუზეუმს - რომელიც მოიცავს აბრეშუმის მუზეუმით შთაგონებული მასალის (ჩანახატები, მუსიკა, ფოტო, კოლაჟი, ანიმაცია და სხვა) შეგროვებას და გამოქვეყნებას. აქტივობაში მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერი პროფესიისა და ასაკის ადამიანს;
- მუზეუმის კოლექციების თემატური გიფების წარდგენა და მუზეუმის განვლილი პროექტების ვიდეო არქივების ჩვენება;
- სალომე წიქვაძის საავტორო სამაგიდო თამაშის „ჩუ“-ს ადაპტაცია ვირტუალურ რეალობაში (ჟესტური ენის შესახებ);
- მომზადდება და მუზეუმის Facebook გვერდზე განთავსდება სამუზეუმო ექსპონატების ფოტომასალაზე დაყრდნობით, ფაზლის/მეხსიერების თამაშები.

→ www.facebook.com/silkmuseum

სსიპ გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი

მუზეუმის Facebook გვერდზე განთავსდება:

- ვანის N1 და N2 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების პედაგოგებისა და სკოლის დირექტორების საუბრები ინკლუზიური და თანასწორუფლებიანი განათლების შესახებ;

- გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების პოეზიის მოყვარულებისა და მუზეუმის მეგობრების ჩართვები და მილოცვები.

www.facebook.com/profile.php?id=100004581587977

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება ინტერაქტიული ვიქტორინა თემაზე ,,ვინ უკეთ იცნობს აკაკის".

www.facebook.com/cezari.lashxi

სსიპ ვაჟა - ფშაველას სახლ-მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება მუზეუმის დირექტორის მანანა გოდერძაულის ლექცია „ვაჟას პერსონაჟების ცხოვრებისეული პროტოტიპები".

www.facebook.com/profile.php?id=100014534656473

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

კერძო და მუნიციპალური დაქვემდებარების მუზეუმები

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

- პოსტები, ვირტუალური ტურები - მუზეუმში დაცული ნამუშევრები;
- სახვითი ხელოვნების მუზეუმში არსებული ნამუშევრების შესახებ მოკლე ვიდეო-კოლაჟები;
- ვიდეოების სერია - „მხატვრები იზოლაციიდან";
- გასართობ-შემეცნებითი კითხვარი ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმისგან;
- გასართობ-შემეცნებითი ფაზლი - „ააწყე ნამუშევრები მუზეუმის კოლექციიდან";
- გააცოცხლე ხელოვნების ნიმუში.

→ www.facebook.com/georgianartmuseum

კახა ბენდუქიძის კამპუსის საბუნებისმეტყველო მუზეუმი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

- კახა ბენდუქიძე - „დარვინი და დარვინიზმი, I ნაწილი;
- კახა ბენდუქიძე -„დარვინი და დარვინიზმი, II ნაწილი;

- კახა ბენდუქიძე - „დარვინი და დარვინიზმი, III ნაწილი;
- ზაზა ოსმანოვისსაჯარო ლექცია;
- სამყაროს წარმოშობის მეცნიერული და ფსევდომეცნიერული კონცეფციის შესახებ";
- ვატო ლეჟავა, საჯარო ლექცია და წიგნის პრეზენტაცია - „ქალაქის ტრიუმფი".

https://bit.ly/2WBBgkQ

„ილუზიების მუზეუმი"

- ფოტოკონკურსი „ფოტოილუზია“ - მუზეუმი ერთგულ დამთვალიერებელს სთავაზობთ მონაწილეობა მიიღოს სახალისო ფოტოკონკურსში. ფოტოების ავტორები გამოგზავნიან ფოტოებს, რომლებსაც აქვთ „ილუზორული“ ნიუანსები. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი თემატიკის და ჟანრის ფოტო, მთავარია სურათი ნებისმიერი ფორმით კავშირში იყოს ილუზიასთან და ის აუცილებლად „ავტორი“ მიერ იქნას გამოგზავნილი, ან გამომგზავნს ჰქონდეს ავტორისგან მინიჭებული უფლება ფოტოს გამოყენებაზე;
- „ჩემი თვალით დანახული მუზეუმი“ - ვიზიტორები იხსენებენ „ილუზიების მუზეუმს“. აგზავნიან ვიდეოებს, სადაც ყვებიან თუ რა დაამახსოვრდათ მუზეუმში და რომელმა ექსპონატმა მოახდინა მათზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება;
- ონლაინ ლექცია თემაზე „ილუზიის ფსიქოლოგია“ - ტრენერი ალექსანდრე გაბუნია ისაუბრებს კავშირზე თვალსა და გონებას შორის. ასევე, ილუზიაზე რელიგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისით;

- „სახალისო თავსატეხები“ - მუზეუმის მაღაზიაში ვიზიტორებისთვის შეთავაზებული „დილემა სათამაშოები“, უკვე ერთი წელია დამთვალიერებლების საყვარელ თავსატეხებად იქცნენ. ამ პერიოდის მანძილზე, ძალიან ბევრი სათამაშო გაიყიდა და მათ მფლობელებს მნიშვნელოვნად უმსუბუქებენ „შინაპატიმრობას“. გაყიდვების ლიდერებია: გველის კუბი, ეშმაკის კუბი, T-ს დრო, შეუსრულებელი მისია. მუზეუმი აცხადებს ვიდეოკონკურსს სხვადასხვა სათამაშოების აწყობაზე. მომხმარებელი აგზავნის საყვარელი სათამაშოს აწყობის ვიდეოს. ყველაზე სწრაფები, დასაჩუქრდებიან მუზეუმის ბილეთებით.

https://bit.ly/2T8I1Lx

„ჰოლოზეუმი“

- ფიროსმანის დღეებისა და მუზეუმების კვირეულის ფარგლებში, ჰოლოზეუმი გთავაზობთ ფოტოკონკურსს „გააცოცხლე პერსონაჟი“. გვერდის გამომწერები ფიროსმანის ნებისმიერ პერსონაჟს „გააცოცხლებენ“ და ფოტოს მუზეუმის გვერდზე გააგზავნიან. საუკეთესო ნამუშევრის ავტორები მუზეუმის ბილეთებით დასაჩუქრდებიან.

www.facebook.com/holoseum

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა -„წიგნის მუზეუმი”

- ვირტუალური გამოფენა „ერეკლე მეორის სტამბის გამოცემები". გამოფენა აიტვირთება ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალურ ვებვერდზე nplg.gov.ge და ასევე ფეისბუქის ოფიციალურ

www.facebook.com/NATIONALPARLIAMENTARYLIBRARYOFGEORGIA

თბილისის მერიის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანება"

მუზეუმის Facebook გვერდზე დამთვალიერებელი იხილავს:

#ერთიექსპონატისისტორია თბილისის მუზეუმების გაერთიანების ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ:

- ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი - მრავალკულტურული თბილისი (დაირა, სათარა და აშ);
- ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი - კალისტრატე ცინცაძის წერილი ზაქარია ფალიაშვილს;
- კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური ბინა-მუზეუმი - სოსო წერეთლის დღიური - შინაგანი ამბოხი;
- ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი - ვახტანგ ჭაბუკიანის გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და 30-იანი წლები;
- მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი - მერაბ კოსტავას წერილები ციმბირიდან.

#ვირტუალურიექსკურსია - თბილისის მუზეუმების გაერთიანების სამუზეუმო სივრცეები:

- ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი - მუზეუმი და გარემო - სალონური ცხოვრება და მეცხრამეტე საუკუნის თბილისი;
- ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი - სახლი აგურის ქუჩაზე /ფალიაშვილი და ნადეჟდა ბუზოღლი;
- კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური ბინა-მუზეუმი - მუზეუმის ეპოქალური კონტექსტი - სოციო პოლიტიკური ვითარება;
- ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი - საბალეტო ცხოვრება - ვახტანგ ჭაბუკიანის რეფორმები;
- მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი - გორგასლიანი;
- ილია ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმი - ილიას სახლი, გარემო, არქიტექტურა, ნივთები.

#თბილისისირგვლივ:

- მერაბ კოსტავას მუზეუმი - „მერაბის ეზო და თბილისი“;
- გალაკტიონი და თბილისი;
- ილია და თბილისი;
- ბარათაშვილის თბილისი;

#წერილიმუზეუმს ყველა წერილი, მოკლე ტექსტური შეტყობინება თუ საინფორმაციო ფურცელი დღევანდელ შეცვლილ რეალობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი საინფორმაციო შესაძლებლობაა.

პროექტში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის ადამიანს. წერილები ხელნაწერის სახით გამოგზავნეთ ჩვენს პირად გზავნილებში. შესაძლებელია წერილები ჩაწეროთ ვიდეოგზავნილის სახით. წერილები და ვიდეომიმართვები განთავსდება გაერთიანების Facebook და Youtube არხზე.

- www.facebook.com/tbilisimuseums
- http://tbilisimuseumsunion.ge
- www.youtube.com/channel/UCNoO7EM0bIYoyqqTGZmrbsg

სსიპ ,,აჭარის მუზეუმი”

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

18 მაისი

- ვიდეორგოლი - ექსკურსია ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მონაწილეობით;
- სლაიდერი მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;
- სსიპ აჭარის მუზეუმის საიტის პრეზენტაცია, ინფორმაციული ხასიათის მიმოხილვა;
- ცნობილი ადამიანების მილოცვები.

19 მაისი

- სსიპ აჭარის მუზეუმის ახალი პროექტის ,,ისწავლე და დასაქმდი" პრეზენტაცია-ვებინარი;
- ონლაინ ფოტოგამოფენა ,,ჩემი თვალით დანახული სამყარო "(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გადაღებული ფოტოები);
- მხატვარი ნინო ნიჟარაძე ,,თვითიზოლაცია და მხატვრობა".

20 მაისი

- ონლაინ ჟურნალის ,,მუზეუმი" პრეზენტაცია;
- ნიუ-იორკში მცხოვრები ბათუმელი პიანისტის ირაკლი შარაძის მილოცვა მუსიკალური კომპოზიციით;
- ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმთან არსებული კერამიკული ნივთების სახელოსნოს ონლაინ მასტერკლასი სასკოლო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის;
- ტრენინგ-ვებინარი ,,ისწავლე და დასაქმდი".

21 მაისი

- ვებინარი თემაზე ,,რატომ უნდა ვეწვიოთ მუზეუმს" - საგანმანათლებლო პროექტი ,,მუზეუმი და ბავშვები";
- ფოტოკოლაჟი და მონათხრობი ,,ტოლერანტობა და შემწყნარებლობა აჭარაში";
- ვიდეო ექსკურსია სმენა და მეტყველებადაქვეითებულთათვის ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში/ ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში;
- ტრენინგ-ვებინარი ,,ისწავლე და დასაქმდი".

22 მაისი

- პროექტი ,,ის რაც არავის უნახავს";
- პროექტის ,,მე ბათუმელი ხელოვანი ვარ" ფარგლებში ბათუმელი ხელოვანების პრეზენტაცია;
- ვირტუალური ტური ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში;
- გიდების მოსამზადებელი ტრენინგ/ვებინარი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის ,,ისწავლე და დასაქმდი".

23 მაისი

- ონლაინ საკითხავი ჟურნალის ,,მუზეუმი“ პრეზენტაცია;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ნახატების ონლაინ გამოფენა;
- ონლაინ ინტერვიუ უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთან პროექტის „შეიგრძენი ექსპონატი“ ფარგლებში;
- გიდების მოსამზადებელი ტრენინგ ვებინარი საჭიროების მქონე პირებისათვის ,,ისწავლე და დასაქმდი“;

24 მაისი

- მუზეუმის თანამშრომელთა დაჯილდოება;
- ონლაინ გადაცემის სტუმარი სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი სულხან ოქროპირიძე;
- შთაბეჭდილებების წიგნი - მივიწყებული წერილების პრეზენტაცია (ნობელის მუზეუმი);
- სასკოლო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სსიპ აჭარის მუზეუმის კლუბის ,,მზის შვილების” პრეზენტაცია;
- ტრენინგ-ვებინარის ,,ისწავლე და დასაქმდი” მონაწილეთა სერტიფიკატებით დაჯილდოება;

www.facebook.com/LeplAjaraMuseum

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

სააგენტოს Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება შემეცნებითი აქტივობები:

- ერთად გავაცოცხლოთ ისტორია;
- დახატე ისტორია-გამოფენა;
- ერთად შევქმნათ გონიოს ილუსტირებული ისტორია ბავშვებისთვის.

www.facebook.com/AjaraHeritage

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმი დამთვალიერებელს შესთავაზებს ინფორმაციას მუზეუმის შესახებ, ექსპონატების ფოტოებს აღწერილობით; წინა წლებში აქციის ,,ღამე მუზეუმში" ამსახველ ფოტომასალას.

www.facebook.com/mxaretmcodneobis.muzeumi.5

ჩოხატაურის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეა

გალერეის Facebook გვერდზე განხორციელდება ონლაინ ჩართვა გალერეიდან, სადაც გამოფენილია ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები.

www.fb.com/თანამედროვე-ხელოვნების-ინტერნეტ-გალერეა-wwwartguriacom-324445877679398

სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმი და ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტის დამირ კუჭავას ინტერვიუ თემაზე ,,მუზეუმი და ჩვენი ქალაქი";
- ინტერვიუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტ ბორის დავითაიასთან ,,მუზეუმი და ისტორია. ვალერიან გუნია";
- ინტერვიუ ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტთან მარინე აბრამიასთან თემაზე ,,ჟიული შარტავა - თაობათა ღირსეული მაგალითი" - ვიდეო კოლაჟი.

www.facebook.com/SenakiYouthCulturalCenter

გორის სერგი მაკალათიას სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება:

18 მაისი

- ვიდეო 2019-2020 წლებში მუზეუმში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობების შესახებ;
- ფოტოკოლაჟი „მუზეუმი ყველასია“.

19 მაისი

- ონლაინ დისკუსია მოსწავლეების ჩართულობით „მუზეუმი თანასწორობისთვის: წარსული, აწმყო, მომავალი“ (პლატფორმა ზუმი);
- #ერთხელმუზეუმში - სამუზეუმო კვირეულის განმავლობაში 18 მაისიდან -24 მაისის ჩათვლით ატვირთეთ ჩვენს მუზეუმში გადაღებული ფოტო და გაგვიზიარეთ თქვენი ვიზიტის ისტორია.

→ www.facebook.com/GorisIstoriulEtnograpiuliMuzeumi

გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება

18 მაისი

- ვიდეო „იოსებ ნონეშვილის შემოქმედება“ - ონლაინ ექსკურსია მუზეუმში (იოსებ ნონეშვილის მუზეუმი);
- ვიდეოკოლაჟი -ცნობილი ადამიანების სტუმრობა „დიდების მემორიალის“ მუზეუმში- ონლაინ ექსკურსია;
- ონლაინ კროსვორდი (ვაჩნაძიანის გიორგი მაისურაძის სახელობის სოფლის ისტორიის მუზეუმი).

→ www.facebook.com/libmuseum.ge

წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის Facebook გვერდზე წარმოდგენილი იქნება წყალტუბოში არსებული ინკლუზიური ცენტრის მცირეწლოვან ბენეფიციართა ნამუშევრების ვირტუალური გამოფენა.

www.fb.com/1851541545132846/posts/2633285256958467

რუსთავის ისტორიული მუზეუმი

18 მაისი

მუზეუმის ექსპოზიციების ონლაინ ექსკურსია,ლაივ ჩართვა მუზეუმის Facebook გვერდზე.

19 მაისს

,,იცი თუ არა რუსთავის ისტორია" - მუზეუმის Facebook გვერდის მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება პასუხი გასცეს რუსთავის ისტორიიდან 10 შეკითხვას და შედეგები გააზიაროს თავის პირად გვერდზე.

www.facebook.com/RustavisIstoriuliMuzeumi

###

18-23 მაისი

მუზეუმის კვირეულის ფარგლებში, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 17 მუზეუმის თანამშრომლებისთვის დისტანციურად, Zoom-ში ჩატარდება ტრენინგი თემაზე: საპროექტო განაცხადის მომზადება.

ტრენერები: ქრისტინე კანდელაკი, ინგა ქარაია.
ორგანიზატორები: USAID ზრდა პროექტი საქართველოში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.